

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №12

ქ.თბილისი

25.11.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ნინო ხოფერია - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;

დავით კიკალაიშვილი - ადვოკატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დიმიტრი ალავეძე - შპს „ვოლ ფაბლიშინგის“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;

ნანა დალაქიშვილი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სასწავლო

მასალებისა და დანერგვის დეპარტამენტის უფროსი;

იაგორ კალანდაძე - სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;

ზაქარია შველიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ შუდრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ირმა ნოზაძე - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნინო ალადაშვილი - ბიზნესის სკოლის დეკანი;

ვაჟა ბერეჟიანი - ფიზიკის სკოლის დეკანი;

ამირან ამბროლაძე - მეცნიერებისა და მათემატიკის დეკანი;

გიორგი მელაძე - კანცლერი.

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

თამარ ვეფხვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ზაზა აბულაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

შპს - დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ლევან ტვილდიანი - რექტორი;

ნია ბრეგვაძე-თაბაგარი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს - საწავლო უნივერსიტეტ „რვალის“ წარმომადგენლები:

გულქან ქმოსტელი - რექტორი;

მარიამ დარბაიძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

ნუგზარ ჩერქეზიშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

შპს - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები::

მარინა ქორიძე - განათლების და მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი;

მერაბ ხალვაში - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ადამ მახარაძე - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი.

გაიოზ ფარცხალაძე - საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ხარისხის სამსახურის უფროსი;

ზურაბ ჯავახიშვილი - საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

მარიამ დარბაიძე;

გიორგი ღვედაშვილი;

მაკა კორძაძე;

ირმა ღარიბაშვილი;

ნათალია ბარათელი;

კახაბერ თავზარაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:30 ს თ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

24. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
25. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამთო და გეოინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
26. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
27. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრანსპორტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
28. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
29. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
30. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
31. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
32. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
33. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
34. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
35. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
36. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
37. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
38. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
39. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა წარადგინა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნინო ჟვანიამ. მან მოითხოვა დღის წესრიგში მე-40 და 41-ე საკითხად სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, მეტეოროლოგია) სამაგისტრო და ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის დამატება. მისი განცხადებით, პროგრამა მაგისტრატურის გრანტების განაწილებაში ვერ მიიღებს პროგრამა მონაწილეობას თუ არ მოხდება მისი განხილვა 2011 წლის 15 დეკემბრამდე.

ცენტრის ავტორიზაციისა და კრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ მხარი დაუჭირა აღნიშნულ შუამდგომლობას.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს შუამდგომლობას და ერთხმად დაამტკიცეს შეცვლილი დღის წესრიგი.

1. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტის უფრო მეტი მოცულობით გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამაში;
- მიზანშეწონილია დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებში უფრო დეტალურად იქნას აღწერილი სწავლის უნარი და ღირებულებები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. მისი განმარტებით, დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტთა პრაქტიკას, პროგრამის სტუდენტები პირველივე კურსზე არეგისტრირებენ საკუთარ საწარმოებს, ქმნიან ბიზნესებს, რაც მათ საჭირო უნარ-ჩვევებს უვითარებს. აღნიშნული ბიზნესის ისინი მე-4 კურსამდე ავითარებენ. პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც ორი საინვესტიციო ჯგუფი შეიქმნა სტუდენტების მიერ, რომლითაც უნივერსიტეტის ბიზნეს პროექტები ფინანსდება. მისი განმარტებით, აღნიშნული პრაქტიკული კომპონენტი ნებაყოფლობითია და სტუდენტის სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა, იგი უკვე მესამე წელია წარმატებით მოქმედებს და მის ფარგლებში შვიდი ბიზნეს პროექტი შეიქმნა. სტუდენტს აღნიშნულის შედეგად ენიჭება 11 კრედიტი, რაც მათი მოსაზრებით სავსებით საკმარისია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოსაყენებლად. რაც შეეხება იმ სტუდენტებს, რომლებმაც არ მოისურვეს ამ სასწავლო კურსის ფარგლებში საკუთარი ბიზნესის შექმნა და მხოლოდ მენეჯერის პოზიციას დააჯერდნენ, მათ უნივერსიტეტი სთავაზობს პრაქტიკულ კომპონენტს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებლობა აქვთ ფირმებში, კერო სექტორში, საჯარო დაწესებულებებში გაიარონ პრაქტიკა. ამდენად, აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ღირებულებების უფრო დეტალურად აღწერა შეუძლებელია, თუმცა, აღნიშნა, რომ დაწესებულება შეეცდებოდა უფრო მეტი დეტალიზაცია შეეტანა პროგრამაში ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრი, დავით კიკალეიშვილი, დაინტერესდა, საიდან იღებდნენ დაფინანსებას სტუდენტები, რომლებიც სასწავლო კურსის ფარგლებში ქმნიდნენ საკუთარ ბიზნესებს.

წარმომადგენლის განმარტებით, სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ უშუალოდ უნივერსიტეტის ფარგლებში მოეხდინათ ფინანსების მოძიება, მოეწვიათ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროფესორები, წარედგინათ მათთვის თავიანთი ბიზნეს პროექტები და მიეღოთ დაფინანსება.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების და მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, იაგორ კალანდაძემ, იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რადგან დაწესებულებაში ვიზიტად მყოფი ექსპერტა ჯგუფის შემადგენლობაში იყო მისი მეუღლე. საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, მაკა კორძაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. მიზანშეწონილია პროგრამაში სწავლის შედეგები იყოს გაწერილი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის ექვს აღმწერთან შესაბამისობის კუთხით, რაც უფრო დეტალურად წარმოაჩენს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს ამ საფეხურის აღმწერის დონის მიღწევას;
- დამატებითი სპეციალობის (მაინორის) მისაღებად აუცილებელი კრედიტების რაოდენობა სასურველია გაიზარდოს დაახლოებით 60 კრედიტამდე;
- მიზანშეწონილია სილაბუსებში სასწავლო კურსის შინაარსი განისაზღვროს დეტალურად სალექციო თემების შესაბამისად და გასწორდეს რიგი ტექნიკური უზუსტობები;
- სილაბუსებში კონკრეტულ საგანზე დაშვების პრერეკვიზიტი ხშირ შემთხვევაში საჭიროებს მკაფიოდ და არაორაზროვნად განსაზღვრას;
- სასურველია სილაბუსებში მითითებული იყოს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების რაოდენობა;
- სასურველია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის რაოდენობა გაიზარდოს;
- სილაბუსში მოცემული სწავლების და სწავლის სტრატეგია საჭიროებს უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებას;
- საბაკალავრო პროგრამაში მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერებების კონცენტრაციები მოიცავს საგნების განსხვავებულ რაოდენობას. სასურველია მოხდეს კომპიუტერული მეცნიერებების კონცენტრაციის საგნების გამსხვილება;
- მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის დატვირთვაში უფრო კონკრეტულად იყოს განსაზღვრული სტუდენტების კონსულტაციებისთვის განკუთვნილი დრო.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ პირველ რეკომენდაციას და განაცხადა, რომ პროგრამაში მართლაც არსებობს რიგი ტექნიკური უზუსტობებისა, რაც იოლად გასწორებადია. დაწესებულების წარმომადგენელმა არ გაიზიარა რეკომენდაცია მაინორის 60 კრედიტამდე გაზრდის შესახებ. მისი განაცხადებით, აღნიშნული სრულიად მიზანმიმართულად იყო განსაზღვრული პროგრამაში. მათ ჩაატარეს კვლევები მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მათი პრაქტიკის გათვალისწინებით დაადგინეს, რომ მათ მიერ განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა საკმარისია მაინორ სპეციალობის შედეგზე გასვლისთვის. ექსპერტმა დააზუსტა, რომ რადგან კვალიფიკაციის ჩარჩო მიუთითებს 60 კრედიტზე, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნულის რეკომენდაციის სახით შემუშავება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამაში განსაზღვრულია საკონტაქტო საათების რაოდენობა, რაც შეეხება არასაკონტაქტო საათებს, მისი წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელი იყო. მისი განცხადებით, სტუდენტმა კარგად იცის კვირაში რამდენი საათი აქვს დათმობილი ლექციას და რამდენი სემინარს. იმის მითითება სილაბუსში კონკრეტულად რამდენს რამდენი ეთმობა სწავლის ხარისხზე არ მოქმედებს. ექსპერტის განცხადებით, აუცილებელი იყო სილაბუსებში არასაკონტაქტო საათების მითითება, რადგან სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ენიჭება სტუდენტს კრედიტი.

თავმჯდომარემ განმარტა, რადგან აღნიშნული სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა, დაწესებულებას შეეძლო იგი გაეთვალისწინებინა ან არ გაეთვალისწინებინა.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის გაზრდასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი მოსაზრებით, უმჯობესია ლიტერატურა იყოს ერთი და სტუდენტს არ სჭირდებოდეს სხვადასხვა წიგნში ძიება. რაც შეეხება დამატებით ლიტერატურას, მისი მითითება სავალდებულო არ იყო. ექსპერტის განმარტებით, სტუდენტს არ უნდა ევალებოდეს მკაცრად ერთი კონკრეტული ლიტერატურით სარგებლობა. მას უნდა ჰქონდეს მრავალფეროვან ლიტერატურასთან მუშაობის შესაძლებლობა. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან ლიტერატურასთან მიმართებით არანაირი მავალდებულებელი ნორმა არ არის, შესაბამისად ვერ მოხდება ამ კუთხით კამათის გაშლა. მისი განმარტებით, სტუდენტს უნდა ჰქონდეს ფართო სპექტრი შეთავაზებული და მას უნდა მიეწოდებოდეს უნივერსიტეტში უფრო მეტი ინფორმაცია და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი წიგნით.

აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში სტუდენტებთან საკონტაქტო საათების უფრო კონკრეტულად განსაზღვრასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მისთვის გაუგებარი იყო, რადგან მათთან დადებულ ხელშეკრულებებში ამის შესახებ ინფორმაცია მოცემული იყო.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, იაგორ კალანდაძემ, იშუალდგომლა თვითაცილების საკითხთან დაკავშირებით, რადგან დაწესებულებაში ვიზიტად მყოფი ექსპერტა ჯგუფის შემადგენლობაში იყო მისი მეუღლე. საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობაზე და დააკმაყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, მაკა კორძაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. მიზანშეწონილია პროგრამაში სწავლის შედეგები იყოს გაწერილი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის ექვს აღმწერთან შესაბამისობის კუთხით, რაც უფრო დეტალურად წარმოაჩენს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს ამ საფეხურის აღმწერის დონის მიღწევას;
- დამატებითი სპეციალობის (მაინორის) მისაღებად აუცილებელი კრედიტების რაოდენობა სასურველია გაიზარდოს დაახლოებით 60 კრედიტამდე;
- მიზანშეწონილია სილაბუსებში სასწავლო კურსის შინაარსი განისაზღვროს დეტალურად სალექციო თემების შესაბამისად და გასწორდეს რიგი ტექნიკური უზუსტობები;
- სილაბუსებში კონკრეტულ საგანზე დაშვების პრერეკვიზიტი ხშირ შემთხვევაში საჭიროებს მკაფიოდ და არაორაზროვნად განსაზღვრას;
- სასურველია სილაბუსებში მითითებული იყოს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების რაოდენობა;
- სასურველია სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის რაოდენობა გაიზარდოს.
- მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალის დატვირთვაში უფრო კონკრეტულად იყოს განსაზღვრული სტუდენტების კონსულტაციებისთვის განკუთვნილი დრო.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის მრავალფეროვნება ზოგ შემთხვევაში აუცილებელია, მაგრამ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგჯერ ერთი წიგნით სწავლება უკეთესი იყო. მაინორთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამჟამად მაინორი პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჰქონდათ, თუმცა მომავალში ამ მხრივ იმუშავებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამაში განსაზღვრულია საკონტაქტო საათების რაოდენობა, რაც შეეხება არასაკონტაქტო საათებს, მისი წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელი იყო. მისი განცხადებით, სტუდენტმა კარგად იცის კვირაში რამდენი საათი აქვს დათმობილი ლექციას და რამდენი სემინარს. იმის მითითება კი სილაბუსში კონკრეტულად რომელ თემას რამდენი საათი ეთმობა სწავლის ხარისხზე ვერ მოახდენდა გავლენას. ექსპერტის განცხადებით, აუცილებელი იყო სილაბუსებში არასაკონტაქტო საათების მითითება, რადგან სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ენიჭება სტუდენტს კრედიტი.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის გაზრდასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი მოსაზრებით, უმჯობესია ლიტერატურა იყოს ერთი და სტუდენტს არ სჭირდებოდეს სხვადასხვა წიგნში ძიება. რაც შეეხება დამატებით ლიტერატურას, მისი მითითება სავალდებულო არ იყო. ექსპერტის განმარტებით, სტუდენტს არ უნდა ევალებოდეს მკაცრად ერთი კონკრეტული ლიტერატურით სარგებლობა. მას უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი ლიტერატურასთან მუშაობის შესაძლებლობა. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან ლიტერატურასთან მიმართებით არანაირი მავალდებულებელი ნორმა არ არის, შესაბამისად ვერ მოხდება ამ კუთხით კამათის გაშლა. მისი განმარტებით, სტუდენტს უნდა ჰქონდეს ფართო სპექტრი შეთავაზებული და მას უნდა მიეწოდებოდეს უნივერსიტეტში უფრო მეტი ინფორმაცია და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი წიგნით.

აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში სტუდენტებთან საკონტაქტო საათების უფრო კონკრეტულად განსაზღვრასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მისთვის გაუგებარი იყო, რადგან მათთან დადებულ ხელშეკრულებებში აღნიშნულზე ინფორმაცია მოცემული იყო.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში შეძლებისდაგვარად, გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;
- სასურველია, ზოგიერთ სილაბუსებში დაკონკრეტდეს სალექციო თემის შესაბამისი ლიტერატურა, გვერდების მითითებით. რათა სტუდენტს სასწავლო მასალის მოძიება გაუადვილდეს;
- სასურველია, სხვადასხვა პროგრამულ კონცენტრაციებში შემავალი ზოგიერთი იდენტური სასწავლო კურსების/მოდულების (სასცენო მეტყველება, ქართული ცეკვა) კრედიტების მოცულობა შესაბამისობაში იყოს მოყვანილი სასწავლო კურსების სილაბუსებში აღნიშნულ კრედიტების მოცულობასთან;
- მიზანშეწონილია პროგრამის აღწერილობაში დაემატოს მონაცემები პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ;
- სასურველია პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები და ხერხები, სტუდენტთა შეფასების სისტემა, აგრეთვე პროგრამის გაუმჯობესების მექანიზმები აღწერილი იყოს ერთჯერადად, და არა ყოველი პროგრამული კონცენტრაციის დახასიათებისას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. პროგრამაში და სილაბუსების ნაწილში იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რაც უკვე გამოსწორდა.

ინგლისურენოვან კომპონენტთან დაკავშირებით დაფიქსირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შემდეგი სასწავლო წლიდან აპირებენ კრედიტების გაზრდას და ამის ხარჯზე ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებას.

პროგრამის აღწერილობაში პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაციის დამატებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა პროგრამაში არსებობდა ისეთი ჩანაწერი, მაგალითად როგორცაა : „პროგრამა შემუშავებულია კონკრეტული მიმართულების პროიფესორ-მასწავლებლების მიერ“, მაგრამ არ იყო მიმითეება უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელზე, რაცაც მისი განცხადებით აუცილებლად გამოასწორებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა რომ რეკომენდაციების გათვალისწინება დაწესებულების გადასაწყვეტი იყო მისი მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ეს არ აბრკოლებს პროგრამის განხორციელებას.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორია და თეორიის პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში შეძლებისდაგვარად, გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;

-სასურველია, შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსსა და სასწავლო გეგმაში მითითებული საათების რაოდენობა (მაგ. სიმბოლო-კულტურის ფენომენი, პირველყოფილი და ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება, უცხო ენა(ინგლისური) 1 და სხვ.)

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციებს და ტექნიკური ხასიათის შენიშვნებიც უკვე გამოსწორებული იყო.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორია და თეორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორია და თეორიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუმამემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებსა და არასპეციალისტებისათვის;
- სასურველია ზოგიერთ სილაბუსში დაკონკრეტდეს სალექციო თემის შესაბამისი ლიტერატურა, გვერდების მითითებით, რათა სტუდენტს სასწავლო მასალის მოძიება გაუადვილდეს;
- მიზანშეწონილია, პროგრამის აღწერილობაში დაემატოს მონაცემების პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ;
- სასურველია, შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსსა და სასწავლო გეგმაში მითითებული საათების რაოდენობა (მაგ. უცხო ენა - ინგლისური 1, სიმბოლო-კულტურული ფენომენი და სხვა.)

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციებს და ტექნიკური ხასიათის შენიშვნებიც უკვე გამოსწორებული იყო. მან განმარტა, რომ ეს პროგრამა საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა აბიტურიენტებში. მისი განცხადებით, პროგრამა ორიენტირებული იყო მხოლოდ კულტურაში მიმდინარე პოლიტიკის გაშუქებაზე.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ხელოვნების) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები:

- სასურველია დასაქმების ბაზრის სიტემატიური კვლევის განხორციელება, პროგრამის მიზნების ფორმულირებაში პოტენციური დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების აქტიური მონაწილეობის მექანიზმის შემუშავება;
- მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტის უფრო დიდი მოცულობით გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამაში;
- მიზანშეწონილია პროგრამაზე მიღების წინაპირობად უნივერსიტეტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოითხოვოს მეოთხე არჩევით საგნად ისტორიის ნაცვლად მათემატიკის ჩაბარება;
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტში დაიგეგმოს ტუტორიალის მომსახურება;
- მიზანშეწონილია დამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, სადაც ასახული იქნება პროგრამის ფინანსური მდგრადობის ძირითადი მაჩვენებლები;
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში შეძლებისდაგვარად, გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციებს და ტექნიკური ხასიათის შენიშვნებიც უკვე გამოსწორებული იყო. მისი განცხადებით, ძალიან ნაყოფიერი იყო ექსპერტთა ჯგუფთან მუშაობა. ტუტორიალის ინსტიტუტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებაში უახლოეს მომავალში იგეგმებოდა ამ კუთხით მუშაობის დაწყება.

პროგრამაზე მიღების წინაპირობად უნივერსიტეტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეოთხე არჩევით საგნად ისტორიის ნაცვლად მათემატიკის ჩაბარების მოთხოვნასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო იმსჯელებდა აღნიშნულ საკითხზე.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ხელოვნების) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ხელოვნების) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული ტურიზმის პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები:

- დასაქმების ბაზრის სიტუმატიური კვლევის განხორციელება, პროგრამის მიზნების ფორმულირებაში პოტენციური დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების აქტიური მონაწილეობის მექანიზმის შემუშავება;
- მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტის უფრო დიდი მოცულობით გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამაში;
- სასურველი იქნება კულტურული ტურიზმის მენეჯმენტის სტუდენტებისათვის დისციპლინის - „ტურისტული ფირმის მენეჯმენტი“ ჩართვა. პრაქტიკაში ამ სასწავლო კურსის სახელწოდებად გვხვდება შემდეგი სინონიმები: ტუროპერეიტინგი; ტურისტული საწარმოს მენეჯმენტი; ტურისტული ფირმის მენეჯმენტი და ა.შ. აღნიშნული დისციპლინის დაუფლებით გაიზრდება სპეციალისტის ტურისტულ ფირმაში დასაქმების შესაძლებლობა;
- მიზანშეწონილია დამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, სადაც ასახული იქნება პროგრამის ფინანსური მდგრადობის ძირითადი მაჩვენებლები;
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში შეძლებისდაგვარად, გაძლიერდეს ინგლისურენოვანი კომპონენტის სწავლება. გარდა ამისა, მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას დამატებით კიდევ ერთი უცხო ენა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციებს და ტექნიკური ხასიათის შენიშვნებიც უკვე გამოსწორებული იყო. მისი განცხადებით, ძალიან ნაყოფიერი იყო ექსპერტთა ჯგუფთან მუშაობა. ტუტორიალის ინსტიტუტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებაში უახლოეს მომავალში იგეგმებოდა ამ კუთხით მუშაობის დაწყება.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამის მიზანში კონკრეტულად განსაზღვრული იქნას სტანდარტის შესაბამისად აგრონომიის კუთხით ბაკალავრის ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო მოთხოვნები
- სწავლის შედეგები- კომპეტენცია ცოდნა-გაცნობიერება არის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასთან შესაბამისობაში მოსაყვანი. ინფორმაციის მოპოვება არ განსაზღვრავს აღნიშნულ კომპეტენციას და იგი ამოსარებია ტექსტიდან .
- პროგრამაში ასახული მეთოდების მთლიანი ჩამონათვალი არ გამოიყენება აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად . სასურველია პროგრამაში დარჩეს ის მეთოდები რომელიც გამოიყენება აღნიშნულ პროგრამაში.
- სასურველია უცხო ენის შესწავლის მიზნით ინგლისური ენის გარდა მოხდეს სხვა ენების შეთავაზება, რათა სტუდენტს მიეცეს არჩევანის შესაძლებლობა.
- სასურველია პროგრამას თან ერთოდეს ადამიანურ რესურსების და საგნობრივი დატვირთვების ცხრილი, სადაც ნათლად გამოჩნდებოდა, რომელი პედაგოგი რა საგანს კითხულობს. თუმცა აღნიშნული საკითხი სილაბუსით ნათლად არის განსაზღვრული.
- სასურველი პროგრამაში დასაბუთებული იყოს საბაკალავრო ნაშრომის აუცილებლობა ან მისი შესაბამისი არჩევითი კურსის მნიშვნელობა.
- სასურველია პროგრამაში გათვალისწინებული იყოს დამსაქმებლის მოთხოვნის გათვალისწინებით სატყეოსთან დაკავშირებული საკითხები.
- სასურველია სილაბუსებში ნათლად იყოს გაწერილი საათებში კონსულტაცია, როგორც საკონტაქტო საათი.
- პროგრამის აგებულების სპეციფიკის გათვალისწინებით სასურველია პროგრამის ტრუქტურის განსაზღვრისას სასოფლო სამეურნეო მეცნარეთა გენეტიკა და სელექციას .

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან განმარტა, რომ მათი აზრით პროგრამაში არ არის ისეთი მეთოდი რომელსაც არ იყენებენ. უცხო ენასთან დაკავშირებით, აღნიშნა რომ არჩევითის სტატუსით შემოთავაზებული აქვს სასწავლო კურსი ფრანგულ ფილოლოგიაში. საკონსულტაციო საათთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მართალია აღნიშნული არ არის გაწერილი სილაბუსში, თუმცა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით და შიდა ქსელის საშუალებით ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

34. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების სილაბუსებში დაზუსტდეს საკონტაქტო საათების გაწერის თანმიმდევრობა;
- სასურველია, სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურის, შეძლებისდაგვარად, განახლება შესაბამისი უახლესი ლიტერატურით ან პედაგოგის მიერ შედგენილი ქართულენოვანი სალექციო კურსებით;
- შესაძლებელია, შედეგების რუკაში არსებულ კომუნიკაციის უნარების და ღირებულების კომპეტენციებში, დაკონკრეტდეს სასწავლო კურსების კომპონენტები;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატყეო საქმის პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატყეო საქმის პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

35. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, მოხდეს სასწავლო სილაბუსების გამდიდრება და მოდერნიზება ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება ახალი, თანამედროვე სახელმძღვანელოებით;
- პრაქტიკული და პროფესიონალური უნარების განვითარების მიზნით, სასურველია სასწავლო პროგრამას დაემატოს რამდენიმე სასწავლო კურსი (მაგ. ქართული ენისა და მეტყველების პრაქტიკული კურსი; ევროპული ლიტერატურის მიმოხლვის მოკლე კურსი);
- სასურველია მოხდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის გამდიდრება თანამედროვე აქტუალური საკითხებით (მაგ. კურსების “ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა”; “რეგიონალური და ეროვნული უსაფრთხოება” სწავლებისას სასურველია მოხდეს ე.წ. „რიდერების“ და “Case Studies” პრაქტიკის დანერგვა);
- ევროპული ენის სასწავლო კურსის ფარგლებში სასურველია რამდენიმე საათი დაეთმოს ზოგადად ინდო ევროპულ ენათა ოჯახის გაცნობასა და მიმოხილვას;
- სასურველია, დამსაქმებელთა მიერ შევსებული კითხვარები იძლეოდეს მეტ და ნათელ ინფორმაციას დამსაქმებელთა მოთხოვნებზე;
- სასურველია შეიქმნას კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზა, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
- პროგრამების უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებ-გვერდზე განთავსება;
- სასურველი იქნება სასწავლო პრაქტიკის კომპონენტები კიდევ უფრო გაძლიერდეს ეროვნულ და საერთაშორისო სასწავლო დაწესებულებებთან დამატებითი სასწავლო რესურსების მოძიებითა და კონტაქტების დამყარებით.
- სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი უფრო მეტად ჩართვა სხვადასხვა პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან აღნიშნა რომ ევროპისმცოდნეობის პროგრამაზე მიღების განხორციელებას აღარ აპირებენ. უბრალოდ არსებული სტუდენტები არ უნდათ რომ დარჩნენ დაფინანსების გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პროგრამას თუ ჰყავდა დამსაქმებლები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა ახალია, შესაბამისად, დამსაქმებლები არ ჰყავთ. თუმცა მზადდება ერთიანი ბაზა და იქმნება ინგლისურენოვანი საიტები.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება რამდენად შესაძლებელი იყო.

კონსტანტინე ჩოკორაიამ განმარტა, რომ ბათუმში ზოგადად არსებობს კადრების პრობლემა. თუმცა კვალიფიკაციის ამაღლება არ უნდა იყოს რთული, რამდენადაც ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს ბათუმში ამ კუთხით.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

36. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია სწავლების პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება;
- სასურველია შეიქმნას კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზა, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
- პროგრამების უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებ-გვერდზე განთავსება;
- სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს ოსმალური ენის სწავლება, რაც აუცილებელია თურქული ისტორიული წყაროების სრულყოფილი შესწავლისათვის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციებს.

კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ თურქეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება თურქეთისმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. აღნიშნული კვალიფიკაცია არ არის მოცემული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მე-4 დანართით გათვალისწინებულ კვალიფიკაციათა ჩამონათვალში, თუმცა პროგრამის განხორციელებაზე ცენტრი აცხადებს თანხმობას,

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

37. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, მოხდეს სასწავლო სილაბუსების გამდიდრება და მოდერნიზება ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება ახალი, თანამედროვე სახელმძღვანელოებით;
- სასურველია სწავლების პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება;
- სასურველია მეტი პრაქტიკული სპეცკურსის შემოღება, სადაც სტუდენტს საშუალება მიეცემა გაეცნოს თანამედროვე კონფლიქტებს, საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევებს და სხვა.
- სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს საერთაშორისო სამართლის სწავლება. (მათ შორის სავალდებულო და არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდით);
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში უცხოენოვანი კომპონენტის (განსაკუთრებით ინგლისური ენა), ასევე აკადემიური წერის ელემენტების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს უცხოენაზე სპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის განვითარებას.
- სასურველია პროგრამას მიეცეს მეტი შესაძლებლობა გაზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა სხვადასხვა დარგის მიხედვით.
- სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი უფრო მეტად ჩართვა სხვადასხვა პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

38. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურით სტუდენტებს უნივერსიტეტისა და დეპარტამენტის ბიბლიოთეკები უზრუნველყოფენ, თუმცა, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოებისა და საკითხავი ტექსტების უფრო ფართო არჩევანი; ასევე, სასურველია საკითხავი მასალების გადახალისება და თანამედროვე ფსიქოლოგიაში არსებული ცოდნის ამსახველი ახალი გამოცემებით, მეტად თანამედროვე ლიტერატურით შევსება, რომლის მითითებაც შესაძლებელი იქნება სილაბუსებში.

- ფსიქოლოგიაში ქართულ ენაზე თანამედროვე ლიტერატურის სიმწირის გამო, სტუდენტებისთვის აუცილებელია ინგლისურის ცოდნა და ეს გათვალისწინებულია პროგრამაში (20 კრედიტი), თუმცა, სასურველი იქნებოდა პროგრამაში პროფესიული ინგლისურის კურსის დამატება, რაც სათანადო საფუძველს მოამზადებდა ინგლისურენოვანი კურსების გავლისათვის და სტუდენტებს ლიტერატურის უფრო ფართო არჩევანის საშუალებას მისცემდა. ამავე კურსის ფარგლებში, შესაძლებელია სხვადასხვა სტატიის, სახელმძღვანელოებიდან ქვეთავების თარგმნა და შემდეგ სასწავლო კურსებში საკითხავ მასალად გამოყენება.

- დამსაქმებლების სურვილისა და საჭიროებებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკში სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიის კურსის დამატება; ასევე, სასურველი იქნებოდა პროფესიული ეთიკის კურსის დამატება, რომლის ფარგლებშიც მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები განსაკუთრებით ღირებულია პრაქტიკოსი ფსიქოლოგისთვის.

- რეკომენდებულია, რომ პროგრამაში გათვალისწინებული სავალდებულო კურსი სტატისტიკაში მოდიფიცირდეს და მეტად იქნას მორგებული ფსიქოლოგების საქმიანობის სფეროსა და საჭიროებებს (აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია ფსიქოლოგიის დეპარტამენტზე).

- პროგრამაში გათვალისწინებულია დასკვნითი ნაშრომის შესრულება (10 კრედიტი) ან მისი ჩანაცვლება მოდულით "XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები". ვინაიდან საბაკალავრო ნაშრომის გაკეთება არ არის სავალდებულო, ხოლო საბაკალავრის დასრულებისთვის სტუდენტს ერთი მცირე ზომის კვლევითი ან პრაქტიკული საქმიანობის კომპეტენციების ამსახველი პროექტი მაინც უნდა ჰქონდეს გაკეთებული, რეკომენდებულია სავალდებულო კურსის შემოტანა (მაგალითად, "კვლევითი პროექტი" ან "შემთხვევის შესწავლა"), რომლის ფარგლებშიც სტუდენტი ერთ კვლევას/სრული შემთხვევის შესწავლას მაინც განახორციელებს (დაგეგმვა, განხორციელება, მონაცემების ანალიზი და ანგარიშის წერილობით წარდგენა/ზეპირად პრეზენტაცია). ვინაიდან მოცემული პროგრამა

ფოკუსირებულია საკონსულტაციო-კლინიკურ საქმიანობაზე, უპირიანი იქნება ამ მიმართულებისთვის ადეკვატური შინაარსის კურსის შემოტანა.

- სასურველია, პროგრამაში ჩართული უფროსკურსელებისთვის მეტი პროფესიული პრაქტიკის უზრუნველყოფა.
- სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი ჩართვა სხვადასხვა პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან აღნიშნა რომ ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ეგიდით იკითხება სასწავლო კურსი „სტრესის დაძლევა“.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

39. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ამავდროულად, სასურველი იქნება სასწავლო, საწარმოო და ლაბორატორიულ პრაქტიკაზე დამყარებული კომპონენტები კიდევ უფრო გაძლიერდეს.
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბაკალავრო პროგრამის ისეთი განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება, რომელშიც ასახვას ჰპოვებს პროგრამის ხელმძღვანელების, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ხედვას პროგრამის შედგომი განვითარებისა და პერსპექტივების შესახებ.
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მეტი ყურადღება დაეთმოს ქიმიის იმ საკითხების წარმოჩენას, რომლებიც განაპირობებენ სპეციალური დისციპლინების შემდგომ შესწავლას. სასურველია ეს განხორციელდეს სასწავლო გეგმაში არსებული ქიმიური დისციპლინების სილაბუსების შინაარსის გადახალისების და სხვა ქიმიური დისციპლინებისათვის სასწავლო კრედიტების გამოყოფის გზით.
- სასურველია კურიკულუმში მითითებული ზოგიერთი სასწავლო კურსების დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ დისციპლინათა დასახელებებთან. (მაგ. „მიკროევოლუციური პროცესები ეკოსისტემებში“ ერქვას ან ბიოევოლუცია ან ევოლუციის მოძღვრების საფუძვლები“ .)
- სასურველია შემუშავდეს მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისი სასწავლო კურსების სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

40. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, მეტეოროლოგია) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ განაცხადა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ გამოსწორდა ცალკეული საკითხები, კერძოდ პრობლემა იყო დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ურთიერთმიმართებაზე. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის გამოსწორებული მასალები. მასალები თან ერთვის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის საქმეს.

საბჭოს წევრებს ზეპირ მოსმენაზე წარედგინათ შემდგომი რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ადმინისტრირების მიდგომების მიხედვით, დეკანი წარმოადგენს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თითოეული პროგრამისათვის დამატებით შეირჩეს პროგრამის თანახელმძღვანელი, რაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის შედგომ დახვეწას და პერსპექტიულ განვითარებას.
- სასწავლო კურსების მიერ ჩამოსაყალიბებელი კომპეტენციებიდან გამომდინარე, სასწავლო დატვირთვაში გაიზარდოს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების წილი.
- კურიკულუმში ნათლად უნდა გამოიკვეთოს არსებული სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა ერთი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე აუცილებელია დაკონკრეტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები.
- წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების სფეროებიდან (კერძოდ, გარემოს დაცვასა და ეკოლოგიურ მონიტორინგთან, ნავთობისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის კვლევა-მოპოვებასთან დაკავშირებული საქმიანობა), ასევე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პროგრამის სტრუქტურაში სათანადო ასახვა ჰპოვოს ეკოლოგიურმა და გარემოს დაცვითმა დისციპლინებმა, სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვის, მიებისა და მოპოვების გეოფიზიკურმა და გეოლოგიურმა დისციპლინებმა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან განაცხადა, რომ მართალია პროგრამის ხელმძღვანელად ფიქსირდება მხოლოდ ფაკულტეტის დეკანი, თუმცა რეალურად ფაკულტეტის დეკანს ჰყავს თანაშემწე, რომელიც კოორდინირება უწევს კონკრეტულ პროგრამას. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საძიებო გეოფიზიკის კომპონენტი საკმარისად არის წარმოდგენილი პროგრამაში. თუმცა ეთანხმებიან აღნიშნულ რეკომენდაციას და გაითვალისწინებენ.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, მეტეოროლოგია) სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, მეტეოროლოგია) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

41. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ადმინისტრირების მიდგომების მიხედვით, დეკანი წარმოადგენს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თითოეული პროგრამისთვის დამატებით შეირჩეს პროგრამის თანახელმძღვანელი, რაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამების შემდგომ დახვეწას და პერსპექტიულ განვითარებას.
- სასურველია გეგმიურად გაიწეროს შუალედური გამოცდები/კოლოქვიუმები და საბოლოო გამოცდა.
- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში წინაპირობები გაიწეროს სამაგისტრო პროგრამაში მოცემული კონკრეტული სხვა საგნების დასახელებების მიხედვით ან სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებით.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლის მიზნები და შედეგები ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია ზოგადი ფრაზებით და სასურველია მათი დაკონკრეტება სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში.
- სასწავლო კურსის დასახელებებში გამოვლენილია უზუსტობები. კერძოდ პროგრამაში მოცემულია „მყარი ტანის ფიზიკა 1“ და „მყარი ტანის ფიზიკა 2“, ხოლო სილაბუსში იგივე საგნები წარმოდგენილია შესაბამისად „შესავალი მყარი ტანის ფიზიკაში I“ და „შესავალი მყარი ტანის ფიზიკაში II“.
- ზოგიერთ სილაბუსში სასწავლო თემები წარმოდგენილია გამსხვილებული სახით, კერძოდ ერთი თემა გაწერილია 2 კვირაზე. სასურველია, თემები გაიწეროს კვირების მიხედვით და მოხდეს პროგრამის ყველა სილაბუსის სისტემატიზაცია.
- წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ეხმიანება თანამედროვე აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებს და ზოგიერთ სილაბუსში სასურველია, დამატებული იქნას შესაბამისი უახლესი ლიტერატურა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან განაცხადა, რომ მართალია პროგრამის ხელმძღვანელად ფიქსირდება მხოლოდ ფაკულტეტის დეკანი, თუმცა რეალურად ფაკულტეტის დეკანს ჰყავს თანაშემწე, რომელიც კოორდინირება უწევს კონკრეტულ პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარემ წარმომადგენელს ჰკითხა, რომელის სპეციალობის სტუდენტებიდან მოხდებოდა პროგრამის მსმენელთა დაკომპლექტება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რამდენდაც პროგრამა ფიზიკის დარგს განეკუთვნება, მასზე ძირითადად ფიზიკის ბაკალავრები სწავლობდნენ.

საბჭომ იმსჯელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, მეტეოროლოგია) სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, მეტეოროლოგია) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომა დასრულდა 22:32 საათზე

ნინო ხოფერია



სხდომის თავმჯდომარე

დimitრი ალავიძე



სხდომის მდივანი